სამშაბათი 8 სექტემბერი 1915 წ. წ. I.

საქართველო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ნაწილ-მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 171 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 171

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, საშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

მამა ერმალოზ მოსეს ძე, და დედა მარიამ დავითის ასული ცქიტიშვილები გულიდადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 4 სექტემბერს, ღამის 11 საათზე, ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი

ქალიშვილი **ელენე.**

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს ხუთ საათზე, პეტრე პავლეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 8 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. 2—2

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა

გასასყიდათ ახალი გამოცემა **სამსონ დათეშიძის ქართული დედანისა და სამხატვრო ნიმუშებისა.**

გამოვიდა და იყიდება ყველა მაღაზიაში

მთავრიშვილის წიგნის მაღაზი გამოცემა ქართული წიგნი:

„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“,

შედგენილი **ს. რ. ბოლოგაძის** მიერ. ფასი 6 აბაზი.

ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია უფლებებ მოკოლებული

მ. ბ. კვინიხიძის

(თფილისის ქუჩა, სახლი ფრ. წერეთლისა).

ატყობინებს, რომ მისაღები **გამოცდები ყველა კლასში დაიწყება 18 აგვისტოდან,** სწავლა კი 1 სექტ. **პროგიმნაზიას აქვს აგრეთვე საანგანო განყოფილება,** სადაც მიიღებიან **სრულიად მოუმზადებელი ბავშვები.**

ახლად დაარსებული საზოგადოების **„სინათლის“** მიერ 9 სექტემბერს

გაიხსნება ქ. ქუთაისში **ქალთა ქართული სასწავლებელი**

(ორი მოსამზადებელი და პირველი პროგიმნაზიური კლასი).

მსურველთ პირობების გასაგებათ შეუძლიათ მიმართონ ჯერ-ჯერობით ქართული გიმნაზიის შენობაში ბ. ი. ოცხელს. იქვე მიიღება თხოვნებიც. 7—6

ექიმი **ბ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე, და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ფოფრთქიფანიძის სახლი. თვ.

ექიმი **ი. ჩარეძოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტროლისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.

ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბეგია **მ. მ. კოხრეიძე** უცერის ყვავილს, უკათებს ნემსებს, ეხმარებე მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

მასაჟით სამკურნალო **კაბინეთი**

მარ. ბალანჩივაძისა.

ვაკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძის სახლი. თ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

სამშაბათსა და ოთხშაბათს 8—9 სექტემბერს ფართო პროგრამა.

რუსული სამხედრო ძრონიკა. სკობელევის კომიტეტის გამოცემა, სერია მეოცე, მონოპოლია თეატრ „რადიუმისა“.

საუკეთესო პროგრამა სეზონში! სინემატოგრაფის რეკორდი!

მილიონეზის გვინოზის ქვეშ.

გაგრძელება. მესამე და მეოთხე სერია 6 ნაწილათ. მთავარ როლში იქნება

ჰერლ ვიტტი.

ნაჩვენები იქნები 2—2 სერია **„ნაზი მშობლები“,** ძლიერი კომიკური სურ.

ანონსი: ხუთშაბათიდან 10 ენკენისთვიდან ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი **„აღმდგარი და დამარცხებული“.** ძლიერი თანამედროვე დრამა 6 ნაწილათ, დიუსი ვერნის მონაწილეობით.

მოსკოვის ქალთა პროფესიონალურ სასწავლებელში კურს დასრულებული ვეძებ მასწავლებლის ადგილს ქალთა პროფესიონალურ სასწავლებელში. სპეციალურათ შესწავლილი მაქვს,

ქალთა ტანისამოსის ჭრა-კერვისა და სხვა და სხვა ხელსაქმე.

მაქვს სათანადო მოწმობა და ატესტატი მოსკოვის სახელოსნო გამგეობისაგან. ვიყვან აგრეთვე მოწაფეებს. სახლში მისამართი: კაზაკოვის ქუჩა სახლი კაკვიძისა. 6—2

ქ. ქუთაისი.

ექიმი ქალი **ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა**

ლ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა

ღებულობს შინაგან და ქალთა ავათმყოფობით

სნეულებს დილის 9—12 საათ. დ საღ. 5—6 ს.

ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები.

თვ. 975

დ. ყვირილაში სამოსწავლო მთავრობის ნებართვით, ყუბარაძის სახლში

გაიხსნა მოსამზადებელი სასწავლებელი,

სადაც მოამზადებიან ბავშვები ყველა დაბალ და საშუალო

სასწავლებლისათვის: გიმნაზიის, რეალურის, კომერციულისა თვისა და სხ.

ფასი **ოცი მანეთიდან** წელიწადში. **სტუდენტი ვარლამ ფერაძე.**

14—12—963

მასწავლებელი

ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის; ვოლნოოპრედელიუშჩის 1 და 2 ხარისხისთვის; პრაპორჩიკების სკოლისთვის; მასწავლებლის ხარისხისთვის; სამიწათმზომელ- და ტეხნიკურის სასწავლებლისათვის, უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის მოწმობაზე; სპეციალურათ მეცადინეობს **არითმეტიკაში, ალგებრაში, გეოგეტრიაში და ტრიგონომეტრიაში.** ადრესი: ბაბრინის ქ. ბალასვანის ქუჩიდან სასაზინო ბალატის ახლოს, სახლი სამსარაძისა.

ნახვა დილას 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, 5—6 საათამდის.

12—3

დაიბეჭდა

ა. გარსევანიშვილის წიგნაკი მაია—მათე ყაჩაღათ წოდებული.

იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში.

უმაღლესი გრძანება.

(უმართებულეს სენატისადმი).

პეტროგრადი. 4 სეკტ. ვსცან საჭიროთ შეივსოს სათადარიგო ბატალიონები და გაძლიერდეს სანიტარულ დაწესებულებათა პირადი შედგენილობა მენონიტებით*) ვბრძანებთ, თანახმათ სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოსაგან მოწონებულ და ჩვენ მიერ მდგომარე წლის 22 აგვისტოს დამტკიცებულ კანონისა, მოწვეულ იქნან მოლაშქრენი მეორე ხარისხისა 1916 წლიდან 1912 წლის ჩართვით რუსეთის ყველა გუბერნიიდან და ოლქებიდან, გარდა იმ გუბერნიებისა და ოლქებისა, რომელნიც ვარშავის საგენერალგუბერნატორო რაიონშია, და ხოლმის გუბერნიისა და კავკასიისა პირველი ხარისხისა მოლაშქრე მენონიტების მოწვევის ვადათ დანიშნულია 5 სეკტემბერი მდგომარე წლისა.

უმართებულესი სენატი არ დააყოვნებს მოახდინოს შესაფერი განკარგულება ნამდვილზე მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელითაწერია **ნიკოლოზი.**

ბანკი. 3 სეკტემბერი 1915 წლისა. ამტკიცებს სამხედრო სამინისტროს მმართველი ინფანტერიის გენერალი პოლივანოვი.

ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

კავკასიის ასპარეზი.

თფილისი. 6 ეკენ. კავკ. ჯარების შტაბისაგან. ოფც. ზღვის ნაპირის, ოლთისისა და დუტახის მიმართულებებით ჩვენი მზვერავი ნაწილები მარჯვეთ მოქმედებენ. ბემრიკალის აღმოსავლეთით ჩვენს ცხენოსან რაზმს შეტაკება მოუხდა ქურდების მოხეტიალე ბრბოსთან. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ ძომხდარა.

ზღვის ნაპირა რაიონში სროლაა. ოლთისის მიმართულებით ხრისტასპორისა და ბეზის რაიონებში ჩვენი მზვერავები ზვერვას განაგრძობენ. დუტახის გეზით ჩვენს მზვერავებს შეტაკება მოუხდათ ოსმალებთან შირვან-შახისა და მიშვანის რაიონებში. ვანის რაიონში სოფელ ვასტანთან და კელერეში მთასთან ჩვენს ცხე-

*) მენონიტები—ერთგვარი რჯული ხალხია რუსეთში.

ნოსნ ჯბრს სროლა აქვს ოსმალებთან. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

ალმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 6 სექტ. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან. დვინსკის დასავლეთ ფრონტზე ბრძოლა წინანდებური სისასტიკით გძელდება. ილუკსტის ჩრდილოეთით გერმანელები დიდი ზარალით უკუ ვაგდეთ. კონტრ-იერიშით ტყვეთ წამოვიყვანეთ ასამდი ჯარის კაცი და ბრძოლის შემდეგ ავკრიფეთ აურაცხელი გვამი დახოცილ გერმანელ ჯარის კაცებისა. მავთულის ხლართებზე დარჩა მთელი გროვა დახოცილებისა.

ილუკსტის დასავლეთით, რკინის გზის სადგურ ელოვკასთან, გერმანელების იერიშები მოგერებულ იქნა, მათთვის დიდი ზარალით. მტერი გაიქცა. მეორე იერიშით გერმანელებმა შესძლეს იზშტეინის დაკავება, სადაც ჩვენი თხრილები სრულიათ გაანადგურა გერმანელების არტილერიამ. ჩვენმა არტილერიის ცეცხლმა თხრილებში ამოსწყვიტა გერმანელების ნაწილები, რომელნიც იერიშს აწარმოებდენ ოვილისა და სამავას ტბებ შორის. ჩვენი პოზიციებიდან იერიშების მიტანის დროს ტბების რაიონში ჩვენმა არტილერიის ცეცხლმა იძულებული გახადა გერმანელები დაეწყოთ თხრილებზე მუშაობა. ამ რაიონში მოპირდაპირე სასტიკ იერიშების მოტანას განაგრძობს. დვინსკის სამხრეთით გერმანელების რაზმი გამოჩნდა. სოფელი ვიდზი მტერმა დაიჭირა. მტრის ძოწინავე ჯარმა აგრეთვე დაიკავა სადგური ვილეიკი. ვილიის მარცხენა ნაპირზე და ველეიკის დასავლეთით მდინარის მრავალ ფონთან მედგარი ბრძოლებია. ასეთივე სასტიკი ბრძოლა სწარმოებს მდინარის შუა ვილიაზე, ვილნოს მახლობელ რაიონში. მოპირდაპირე ცდილობს ქალაქში შეჭრას.

ორანის სამხრეთ-დასავლეთით, გერმანელებმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ, შეავიწროვეს ჩვენი ნაწილები სოფელ რადუნის რაიონში და სოფელ სმილჩინთან. შუჩინის დასავლეთით სოფელ ზარეჩიასთან ბრძოლა ხდება. ჩვენი ფრონტის წინ დახოცილ გერმანელების აურაცხელი გვამი ყრია. მდ. ლებედის დასავლეთ რაიონში (ზემო ნემანის მარჯვენა შესართავი) მტერმა გააფართოვა საარტილერიო სროლა სოფ. მალევიჩთან და სოფ. დობოვთან. ჩვენი მცველი ჯარი აქ ცოტათი შეავიწროვა მტერმა. მდ. შარის ფრონტზე, გერმანელებმა ისარგებლეს რა ნისლით, გადავიდენ ამ მდინარეზე ფლირშიპთან სლონიშას სამხრეთით. მტრის მოწინავე ჯარი, რომელიც გვიტევდა იასელდსა და პრიპიატს შუა, გამოჩნდა მდინარე იასელდის მარჯვენა ნაპირზე და ქალაქ პინსკთან. შუა სტოგოდზე ცხენოსანთა მცირე რაზმების შეტაკებები ხდება. კერძო ხასიათის შეტაკება ხდებოდა აგრეთვე სოფლებ გუროვიჩთან და ბოროვნოსთან. მტრის უკან დადევნების დროს კოლკის სამხრეთ დასავლეთით ჩვენმა ცხენოსანმა რაზმა იერიში მიიტანა მტრის ცხენოსან რაზმზე სოფელ რუდნიკთან და გააქცია. ბევრი დასჭრა და 60-მდი ტყვე წამოიყვანა. რუდნიკის სამხრეთით მდებარე სოფელი ჟურანაჩი ჩვენ დავიკავეთ. როვნო-კოველის გზით საერთო შეტევის დროს ჩვენ შევძელით მტრის უკუგდება მათთვის დიდი ზარალით.

გორდიშჩეს ალმოსავლეთით (დერჟანოს ჩრდილო დასავლეთით) მტერი გამოყრილ იქნა თხრილებიდან, ამავე დროს ხელში ჩავიგდეთ ბაირალი, მერვე საიმპერატორო პოლკის კამანდირი და 800 კაცზე მეტი. ვინც კი გადარჩა მტრის ბანაკში გაიფანტა და თავი ტყეს შეაფარა. ამასთანავე სოფ. რუდა კრასნაიასთან, დერჟანოს სამხრეთით მტრის გარღვევის შემდეგ, ჩვენი ჯარი განაგრძობდა შეტევას, დაამარცხა მტერი ცუმანის სამხრეთით და ტყვეთ წამოიყვანა 1800 კაცი. წართმეულ ტყვიის მტყორცნელთა რაოდენობა ჯერ გამორკვეული არაა, რადგანაც იგინი ხმარებაშია მოპირდაპირის საწინააღმდეგოთ სოფლებ ლოპუშნოსა და ვოლინთან. მდ. სერეტის მარჯვენა ნაპირსა და მიყოლებულ რაიონში, მტერი ბევრ ადგილს შევიწროვებული იქნა ჩვენგან.

შენიშვნა. მიღებულ ცნობათა შორის ყურადღებას იქცევს ცნობა იმის შესახებ, რომ ავსტრიელები ჭოჩავსკის მონასტრის გუმბათიდან სპასლენძს ხსნიან. გერმანიის ოფიციალური ცნობა სამხედრო დავლის შესახებ, მცირე განსხვავებითა დასტურებს სამხედრო შტაბის ცნობას 26 აგვისტოს თარიღით, რომ წელში ჩაგდებულ დავლათა შორის ცოტას გამოკლებით უმეტესობა ავსტრიის ზარბაზნები და ჯარის კაცები არიანო.

პეტროგრადი. 5 სეკტემბერი ოფიციალური ლამბარდზიდეს რაიონში გრძელდებოდა თხრილებიდან ბრძოლა. ჩვენმა არტილერიამ დაანგრია მტრის ორი საზვერავი პუნკტი. არტუაში საარტილერიო სროლა გრძელდება განსაკუთრებით ნეველსკის, სეკტორის და კლეკურის მიდამოებში. აქ ჩვენ რამოდენიმე ადგილს შევნიშნეთ ჩვენი სროლის კარგი შედეგი.

რუას რაიონში ბრძოლა გრძელდება ხელის სასროლ ყუმბარებით და აგრეთვე თოფებით, რაოდენიმე პუნკტში არტილერიაც იღებს მონაწილეობას. ბერიოკის ჩრდილოეთით მტერს წავართვით საყარაულო ადგილი.

შამპანში მტრის სროლას სასტიკი სროლით ვუპასუხოთ.

პარიზი. 5 სეკტემბერს ბელგიის ოფიციალური ცნობით, ღამემ მშვიდათ ჩაიარა. მტერი რაოდენიმე ჩვენს პუნკტს ტყვიას უშენდა უფრო ძრიელი არტილერიის ცეცხლი სწარმოებდა დიკსულდის მიდამოში. დღისით მტერმა ყუმბარები დაუშინა ოსტდუკერკს სენუაკაპელს ოდეკაპელს და ნეკაპელას.

პეტროგრადი. 6 სეკტემბერი ყოფილი მდგომარეობისა და მთავროების დეპეშების სწორი მიმოსვლის გამო შინაური მინისტრის განკარგულებით აღკრძალულია მოსალოდნელ დეპეშების მიღება 17 სეკტემბრიდან.

ლონდონი. 5 სეკტემბერი ტერდუნიონისტების კონფერენციაზე მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც აღიარებს ომის საჭურველთა რიცხვის გადიდებას.

ტოკიო. 5 სეკტემბერი მინისტრთა საბჭომ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულების ქვეშ გადადვა 170 მილიონი მანეთი ჯარის კაცთა ოჯახების დასახმარებლათ.

კოპენჰაგენი. 6 სეკტემბერი. გერმანიის მთავრობამ დანიის მთავრობის მიმართ სინანული გამოთქვა, რომ 3 აგვისტოს გერმანიის დირიჟაბლი ნისლიანი ამინდის გამო შეცდომით გადაფრინდა კალეს ბუხტში, რომელიც შეადგენს დანიის მთავრობის ტერიტორიას. ასეთივე სინანულით მიმართა გერმანიის მთავრობამ ჰოლანდიის მთავრობას. იმის გამო, რომ გერმანიის მფრინავი შეცდომით ჰოლანდიის ტერიტორის წყალზე გადაფრინდა 26 ივლისს.

სტოგჰოლმი. 5 სეკტემბერი. ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ ადგილობრივი ბულგარელი კონსული მოუწოდეს ყველა იმ მაკედონელ ბულგარელებს, რომელიც ცხოვრობენ უნგრეთში და იხდიდენ 1890-15 წ. სამხედრო სამსახურს ადრია ნოპოლის ლაშქარში დაუყონებლივ უნდა გამოცხადნენ პოლკში სამი კვირით ხელ-ახლა მოსამზადებლათ.

პარიზი. 5 სეკტემბერი. ოფიციალმე სეკტორში ჯარის გადაყვანა მოხდა. რუასთან სასტიკი სროლა იყო სხვადასხვა კალიბრის ზარბაზნებით. ბერიოკში, შამპანში და პერტის ირგვლივ არტილერიის ენერგიული ბრძოლა იყო. დანარჩენ ფრონტზე ღირს შესანიშნავი არაფერი არ მომხდარა.

დარდანელში არაფერი ცვლილება არ მომხდარა ოსმალებს რაოდენიმე პუნკტზე იერიში მოჰქონდათ და თან თხრილებით წინ იწევდენ, რაც წინათ არ მოუხდენიათ.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

მუშათა „დრუჟინა“

ეკატერინოსლავის საგუბერნიო საქალაქო და საერობო კავშირის კომიტეტი მუშებისაგან ბრძოლის ველზე პოზიციების გასამაგრებლათ „დრუჟინას“ ადგენს, რომლის დანიშნულება სიმაგრეების აღება იქნება. „დრუჟინაში“ იწვევენ: ინჟენრებს, ტეხნიკებს, კალატოზებს და მიწის მთხრელებს.

(რ. ვ.)

რა ხდება ვილნაში.

ქ. ვილნადან იუწყებიან, რომ იქ დღე და ღამე განუწყვეტელი სროლის ხმა ისმის. ცხარე შეტაკებები და ბრძოლები ქალაქიდან 25 ვერსის მოშორებით ხდება. ქალაქის თავზე განუწყვეტლივ დაფრინავენ და სივრცეში გერმანის ციპელინები და ტაუბეები (ჰაეროპლანებია) ირევიან, რომლებიც ქალაქს ყუმბარებს სეტყვასავით აყრიან. რუსებმა მტრის სამი ჰაეროპლანი ჩამოაგდო ძირს. შრაპნელის ნატეხით ერთი გერმანელი მფრინავი—აფიცერთანგანი დაიჭრა. ქარხნებს და ფაბრიკებს საჩქაროთ სცლიან და სხვა ქალაქებში გადააქვთ. მცხოვრებნი კი ისევ ქალაქში რჩებიან, თუმცა მატარებელი მათ გასაყვანათ ყოველ ჟამს გამზადებული ჰყავთ სადგურზე.

12 აგვისტოდან ადგილობრივი პოლიცია გასულია და ქალაქებს აღარ მსახურობს. მის ნაცვლათ ახლა სამოქალაქო მილიცია მოქმედებს.

(კ. ს.)

— ლონდონში გერმანიის საჰერო ფლოტის თავდასხმას მოელიან.

— ავსტრიის სამხედრო ინფორმაციული ბიურო გაზეთებს ატყობინებს, რომ სახელგანთქმული სარდალი გენერალი მეკენზენი ბრძოლის ველის სხვა ასპარეზზე წავიდაო.

(კ. ს.)

ბულგარეთს ომში ჩარევა მოთხოვეს.

დეპეშით გაზეთებს აუწყებენ, რომ პეტროგრადიდან ოთხთა შეთანხმების მოკიქულები სოფიას წავიდენ და იქ ბულგარეთის მთავარ მინისტრს როდისლავოვს ნოტა გადაცეს, რომლითაც ბულგარეთისაგან ოთხთა შეთანხმების სასარგებლოთ ომში ჩარევას მოითხოვენო.

ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

რუსეთი.

სათათბიროს უკანასნელ სხდომაზე.

სხდომა სულ 5 წუთს გაგრძელდა. როგორც კი თავმჯდომარეს ამხანაგმა, პროტოპოპოვმა სათათბიროს დათხოვის უქაზის წაკითხვა დააპირა, მაშინვე წამოდგენ ადგილებიდან: ტრუდოვიკები და სოციალდემოკრატები, რომლებიც დარბაზიდან გასასვლელათ მოემზადენ. დეპ. სუხანოვმა მიმავალთ მიაძახა: მიჭყიდეთ განა რუსეთი ნემცებს?! უქაზის წაკითხვის შემდეგ სხდომის დარბაზში ტრუდოვიკების ლიდერი კერენსკი ისევ შემობრუნდა და დაიყვირა: „ვაუმარჯოს ხალხს, გაუმარჯოს არმიას!!“ დამსწრე საზოგადოებიდან, ვიღამაც დაიძახა: „არ წახვიდეთ, საჭიროა, შეეერთდეთო!!“

(კ. ს.)

კურის ნაკლებობა.

ქ. ვიტებსკის მცხოვრებთ პური შემოაკლდათ. ფურნეებთან მრავალი ოცდის თავის რიგს, მაგრამ საკმაოთ პურს მაინც ვერ შოულობს საყიდლათ.

(რ. ს.)

უთანხმოება ჩამოვარდა.

პეტროგრადის და მოსკოვის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტმა კერძო ქარხნის პატრონებს, პუტილოვს და გუჟონს სამხედრო მასალის დამზადების საქმეში უზრუნველობის და განზ განდგომის ბრალი დასდეს. პუტოლოვის ქარხნის სარევიზიოთ ა. გუჩკოვისა და ტიმაშევის ხელმძღვანელობით ცალკე კომისიაც იყო დანიშნული. პუტილოვის ქარხნის (12 ათასამდე კაცი ნუშობს) გამგეობამ ახლა სამხედრო სამრეწველო კომიტეტს მოხსენება წარუდგინა, რომელშიაც ის აცხადებს, რომ რევიზიის შემდეგ იგი ყველაფერს რიგზე ასრულებს, რამდენადაც ეს მის უფლებაშია; მიუხედავათ ამისა. ამბობს გამგეობა, გუჩკოვის და ს. ტიმაშევის მოხსენეა ნამდვილ საბრალმდებლო ოქმს წარმოადგენს ჩვენი ქარქნის წინააღმდეგ. ამიტომ ვითხოვთ, რომ განსაკუთრებულმა სამხედრო სათათბიროს სამხედრო მინისტრის თავმჯდომარეობით განიხილოს ჩვენი საქმე და თუ რაშიმე ჩვენს შეცდომასა [illegible] დაინახავს იგი, [illegible] ვთხოვილობთ, [illegible] გამოძიებლო კომისიამ სახელწოფო საბჭოს წევრის, ინჟენერ-გენერალი პეტროვის თავმჯდომარეობით განიხილოს ჩვენს წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებაო.

რაც შეეხება მოსკოველ კაპიტალისტებს გუჟონს, მას აბრალებენ, რომ მისმა სალითონო ქარხანამ სამხედრო საჭიროებისთვის დიდ ძალი ოეთრი ჟესტის დამზადება არ იკისრა. ამის გამო ბ-ნ გუჟონს პასუხი მოთხოვოს და მისი ახსნა განმარტებით კომიტეტი თითქო დაკმაყოფილდა. მაგრამ ასეთი პასუხის მოთხოვით თვითონ ბრალდებული, ბ-ნი გუჟონი კმაყოფილი არ დარჩა და პროტესტის ნიშნათ კომიტეტის რწმუნებულობაზე ხელი აიღო. ამერიკაში აგზავნიდენ მას კომიტეტის რწმუნებულათ სამხედრო „ზაკაზების“ გამო.

(რ. ს.)

მუშებმა მოითხოვეს.

პუტილოვის ქარხნის მუშებმა ქირის მომატება მოითხოვეს და პასუხისთვის ქარხნის ადმინისტრაციას ერთი კვირის ვადა დაუნიშნეს. ახლა ქარხნის გამგეობამ მუშებს განუცხადა, რომ მათ ქირა უსათუოთ მოემატებათ.

(რ. ს.)

მუშების მასიური კრება

პეტროგრადის „ახალი ლესნერის“ მუშებმა წინასწარი მასიური კრება გამართეს: კრებაზე ქარხნის მუშების ორივე „სმენამ“—5 ათასამდე კაცმა—მიიღო მონაწილეობა. მუშებმა განაცხადეს, რომ ისინი სამხედრო სამრეწველო ცენტრალურ კომიტეტში მუშების მონაწილეობის საკითხის გამოსარკვევათ შეიკრიბნენ. გაიმართა მოლაპარაკება. ქარხნის გამგეობამ და პოლიციამ ა, გუჩკოვის შუამდგომლობის შემდეგ კრების ნება დართო მუშებს, რომლებმაც შეიმუშავეს რეზოლიუცია შემდეგი მოთხოვნებით: ამნისტიის გამოცხადება, კავშირების და პრესის თავისუფლება და სხვა და სხვა...

არჩევნების შესახებ განსაკუთრებულ-გახსაზღრული დადგენილება არ მიუღიათ. გადაწყვიტეს რამდენიმე ასეთი კრება კიდევ გამართონ.

(რ. ვ).

ზომიერ პროგრესიულ „ბლოკის“ რეევა.

სათათბიროს დათხოვის გამო „ბლოკის“ წევრებმა თათბირი მოახდინეს: იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ „ბლოკის“ წევრები განსაკუთრებულ სათათბიროების კომისიებიდან უნდა გამოსულიყვნენ, მეჯარჯვნე კადეტმა მაკლაკოვმა სასტიკათ გაილაშქრა. მისი აზრით „ბლოკისტებმა“ თავი არასგზით არ უნდა გაანებონ იმ სათათბიროებს, რომელთა დანიშნულება ომისთვის სამხედრო მასალის დამზადებაა. „ბლოკი“ ამ სიტყვებზე შედრკა და საგონებელში ჩავარდნა.

(ვ. ვ).

განთავისუფლებული ბურცევი.

ქ. სამარიდან იუწყებიან, რომ იქ გზათ გამოიარა ციმბირიდან განთა-

ვისუფლებულმა ცნობილმა ბურცევმა, რომელმაც ადგილობრივ მუზეუმს თავისი ავტოგრაფი დაუტოვა და სთქვა: **„ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა მალე დაიმარჯვებსო“.** (კ ს.)

საჩქაროთ გაწვევა.

მოსკოვიდან პეტროგრადში მთავრობამ მოსკოვის გრადონა ჩილნიკი და გუბერნატორი საჩქაროთ მიიხმო; ამბობენ, ამ მიხმობას მოსკოვში 7 სექტემბრისთვის განზრახულ საქალაქო და საერობო კავშირის სიეზდთან აქვს დამოკიდებულებაო. (კ. ს.)

სამგლოვიარო განცხადებანი გერმანიაში.

„უ. რ.“ მოჰყავს, რამდენიმე მაგალითი, როგორც აცხადებენ გაზეთებში მშობლები და მახლობლები გერმანელ სამხედრო პირის სიკვდილს ბრძოლის ველზედ.

მოგვყავს როგორც აცხადებს ცოლი: 17 აგვისტოს, 1915 წ. ხელმწიფისა და სამშობლოს გულისთვის იერიშის დროს მოკვდა მოვალეობის. პირნათლად აღსრულებაში და გმირულის სიკვდილით, ყველაზედ ძვირფასი ჩემთვის, გულის სიღრმეთაგან ყველაზედ საყვარელი, — ჩემი საყვარელი, ჩემი საუკეთესო ქმარი, სიამაყე და ბედნიერება ჩემის ცხოვრებისა, ჩემი საუკეთესო, ერთადერთი და ოქროს მეგობარი ლეიტენანტი ლანდვერისა და კომანდირი ასეულისა ალფერდ ფრანკი.

როგორ აცხადებს დედა:

25 აგვისტოს პატიოსნების ველზე მამაც იერიშის დროს, სული დალია ჩემმა უნცროსმა მამაცმა შვილმა ფრანც კონრადმა. სიხარულით იბრძოდა ის მრავალ ბრძოლვსაი და ომებში თავის სამშობლოსთვის და ეხლაც თავის მკერდის სისხლით აღბეჭდა ერთგულება იმპერატორისა და მამულისადმი.

ძალთა გაერთიანება.

„ერთობა“ და „ბლოკი“ დღეს ისევ აუცილებელ მოვლენათ ხდება. ეს ახლა არც სადავოა და აღარც საკამათო.

გადაწყვეტილი საქმეა, რომ „ძალთა ერთობა“ უნდა დამყარდეს, „ბლოკი“ უნდა შეიკრას. ამაზე ახლა ლაპარაკიც მეტია.

მაგრამ მაგარი და სამწუხარო ის არის, რომ ვერ გაურკვევიათ, თუ რა ნიადაგზე და რა პირობით შეიძლება აღმოცენდეს დღეს ასე სანატრელი „ერთობა“ და საჭირო „ბლოკი“.

ეროვნული ნიადაგი, თუ კლასობრივი? შუამდგომლობის და თხოვის გზა, თუ მოთხოვა და ძალა-უფლების მოპოება. აი, რა არის სადავო და საკამათო!

თითქო საკითხი საბოლოოთ და საყოველთაოთ გადაწყვეტილი იყოს ერთ-ერთი ქართული გაზეთი გამოიმდგარა და იძახის „კლასობრივი ბრძოლის ადგილი ეროვნულმა ბრძოლამ დაიკავა... ეროვნული მოღვაწეობა სისულელეა ერის ძალების დაქსაქსვით;

ამიტომ... ხელი შევუწყოთ ეროვნულ ძალთა ერთობას“ და საგანგებოთ და საერთოთ შევიმუშავოთ ახლანდელი ომის საკითხზე საერთო ეროვნული პროგრამაო. („სახალხოს“ 373 №).

სავსებით ვეთანხმებით, რომ 1) „სისულელეა ერის ძალების დაქსაქსვა და რომ 2) „საჭიროა ხელი შევუწყოთ ეროვნულ ძალთა ერთობას“.

მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ შემცდარია ის, თუ ვინმე ჰგონია, რომ დღევანდელი მომენტი „თხისა და მგლის ერთათ ბალახობას“ მოითხოვს. ასეთი მომენტი იშვიათათ, ძალიან იშვიათათ, ყოფილა ერთა ისტორიაში და ახლა ხომ ის სრულიათ შეუძლებელია.

დიდი შეცდომაა, როცა ამბობენ რომ დღევანდელი ომი ერთა შორის სოლიდარობას ამტკიცებსო. ნამდვილია მხოლოთ ის, რომ დღევანდელი მეომარი სახელმწიფოები მიმხდომი ნაციონალისტური სახელმწიფოებია და გაბატონებულ ნაციების პოლიტიკას აწარმოებენ სწორეთ ისე, როგორც გაბატონებულ კლასებისას. რაც შეეხება ხალხს, დემოკრატიას, იგი ამ ბრძოლის მხოლოთ იარაღი გამხდარა და მისი თანაგრძნობა დაჩაგრულ ერებისადმი არის მიმართული.

აქედან დაჩაგრულის ერის მოკავშირეთ გაბატონებული ერების, დღევანდელი მეომარი სახელმწიფოების, მხოლოთ დემოკრატია უნდა ჩაითვალოს. დემოკრატია კი, როგორც ვიცით, დღეს ყველა ქვეყნებში ხმას იმაღლებს და თავისას მოითხოვს. აი, ეს არის დღევანდელ მომენტში ყველაზე უფრო საყურადღებო და დაჩაგრულმა ერმაც უპირველესათ გულის ყური ამის უნდა მიაპყროს.

აქედან „ერთობის“ ნიადაგი დემოკრატიის საერთო მოთხოვნაა საერთო პროგრამაა და ვინც მეტს მოითხოვს, მას დემოკრატიულ „ბლოკში“ ადგილი არ ექნება: სოციალისტია იგი თუ ნაციონალისტი,-ეს სულ ერთაა.

ეს ერთი.

მეორეც, დემოკრატია თავის მოთხოვნებს განსაზღვრული მეთოდით, ბრძოლის განსაზღვრული საშუალებით იცავს და ამ გზით ფიქრობს იგი თავისთვის საჭირო ძალა-უფლების დაპყრობას. და აი, ვინც ამას უარყოფს და ვისაც სხვა გზა აურჩევია, იგი მასთან ერთათ ვერც ივლის და მასთან ერთათ ვერც იმოქმედებს.

ამიტომაც წინა წერილში ჩვენა ვთქვით, რომ „ქართველმა ყველა ჯგუფების დემოკრატიამ **ერთათ** უნდა იაროს და **ყველამ ერთათ** უნდა მოითხოვოს მოსათხოვნელია“.

ამ გვარად, დემოკრატიული ინტერესებისა და მოთხოვნების ერთობა, საერთო ძალით მუშაობა ხალხის საკეთილდღეოთ. აი ის ორი საფუძველი, ის ორი დედა ბოძი, რომელზედაც დამყარებული უნდა იქნეს ყოველი ერის დემოკრატიული ჯგუფების, ფრაქციების და პარტიების „ერთობა“ და ბლოკი“.

გიგო დემოსიძე.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

დღესასწაულის გამო ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 10 ენკენისთვეს. გაზეთის ქადაგდი უკვე მივიღეთ და ხუთშაბათიდან ჩვენი გაზეთი დაიბეჭდება დიდი ფორმატის ქადაგდზე.

✦ დღესასწაულის გამო დღეს, 8 სექტემბერს, გელათისკენ მიმოსვლის მატარებლებს მოუმატეს. ქუთაისსა და გელათს შუა თითქმის ყოველ საათში გავა სახალხო მატარებელი.

✦ ქუთაისის ქალაქის თვითმართველობამ, ქალაქის საბჭოს საგანგებო კრების გადაწყვეტილებისამებრ, შუამდგომლობა აღძრა კავკასის ქალაქთა-კავშირის მთავარ რწმუნებულთან, რათა მან იშუამდგომლოს, სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირში, რომ ქუთაისის ქალაქის თვით-მართველობას კავშირის თანხიდან უვადო სესხად ერთდროულათ 103393 მ. მიეცეს საღორიის აგარაკზე გადამდებ სენიანთა მოსათავსებელ ბარაკების ასაგებათ და სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. აგრეთვე დაენიშნოს ქალაქის თვითმართველობას, 8,300 მანეთი ყოველთვიურათ, ახლად მოწვეულ მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლათ და სხვა და სხვა წვრილი საქმეების მოსაწესრიგებლათ.

✦ ამ დღეებში მოხდა ქალაქის საბჭოს კრება სხვა და სხვა საკითხის განსახილველათ.

კრება გაიხსნა. წევრის მოსიძის თავჯდომარეობით და განხილული იქნა შემდეგი კითხვები.

1) რამდენი ვაგონი სანოვაგე იქნა მიღებული ქუთ. სადგურზე 23—30 აგვისტოს განმავლობაში.

2) ზოგიერთმა განაცხადა, რომ ქუთაისის სადგურდზე მიღებული სანოვაგე თავის დროზე ვერ მიაქვთ ვაჭრებს, რადგანაც განსაზღვრულ დროს შემდეგ მათ ეკარკებათ მორიგეობის უფლება. ამისთვის კრებაზე გადაწყვეტილი იქნა, აღძრან შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ შეიცვალოს ძველი წესი ე. ი. სანოვაგის მიღების ქუთაისის სადგურზე ნაცვლად 20 საათისა ეძლეოდეს 48 საათი, რომლის განმავლობაში მათ შეეძლებათ სანოვაგის ვაგონებიდან დაცლა და გადმოტანა.

✦ ქუთაისის პოლიცმეისტერმა სამინისტროს განკარგულება მიიღო ახალგაზდათა ომში გაწვევის შესახებ, რომელიც ავალებს მას შეადგინოს 1896—1897 წლებში დაბადებულთა სია, ვინაიდან მოსალოდნელია მათი მოწვევა მოხდეს მომავალი წლის დამდეგს. ზემოაღნიშნული სია წარდგენილი უნდა იქნეს 1 ოქტომბრამდის. შემდეგისათვის კი ნაჩვენები იქნება თუ როდის უნდა შესდგეს სიები 1917-18 წლების გაწვევ ახალგაზდებისა.

✦ კვირას 6 სექტემბერს დილის მატარებლით თბილისიდან ჩამოვიდა ქალაქის ინჟინერი ბ-ნი ქურდიანი, რომელიც ქუთაისის ქალაქის მოუარავისა და რამდენიმე ხმოსნების თანხლებით ნაქერალას ქედზე გაემგზავრა წყლების დასათვალიერებლათ.

✦ კვირას 6 სექტემბერს კავკასიის მომქმედ ჯარის სასარგებლოდ საზოგადო საკრებულოს ბაღში გაიმართა სეირნობა. სეირნობას ხალხი საკმაოთ დაესწრო.

✦ 7 სექტემბერს დილით ქალაქის სანიტარულმა ექიმმა დადუნაშვილმა ქალაქის სანიტრის ი. ჩაჩანიძის თანხლებით დაათვალიერა ადგილობრივი სასტუმროები.

✦ **ბალაკტიონ ტაბაძის სალამო.** გაიმართება ქალაქის თეატრში 20 სექტემბერს.

✦ დღეს 8 სექტემბერს ქუთაისის საზოგადო საკრებულოს დარბაზში გაიმართება საოჯახო სალამო. შემოსავლის 10 პროც. გადადებული იქნება დაჭრილ მეომართა სასარგებლოთ.

✦ რედაქციამ მიიღო საკვირაო ჟურნალ, „თეატრი და ცხოვრები-ს“ „ჯეჯილი-ს“ და „ნაკადული-ს“ მორიგი ნომრები. ჟურნალები ჩვეულებრივ შინაარსიანათ არიან გამოცემული.

— თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის ცნობით ამიერიდან ტყვეთ მყოფ ჯარის კაცებს შეიძლება გაეგზავნოთ სხვა და სხვა მსუბუქი ამანათები.

✦ ხუთშაბათს, 10 სექტემბერს, ქალაქის თეატრში გაიმართება ლიტერატურულ-დრამატიული სალამო. სალამოზე მონაწილეობას მიიღებენ: ია ეკალაძე, ბ. დადიანი ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე და სხ.

წარმოდგენილი იქნება დ. მესხის „მოფურჩხული„ და გრიშაშვილის „ტიმოთეს ლელვი„

✦ 31 მაისიდან 6 სექტემბრამდის ქუთაისში შემოვიდა შემდეგი სანოვაგე: 17 ვაგონი პურის ფქვილი, 1 ვაგონი ნავთი, 8 ვაგონი შეშა, 1 ვაგონი თივა, 4 ვაგონი ქვა-ნახშირი, და 1 ვაგონი მარილი.

✦ ჯარის კაცი ივანე ლუარსაბის ძე ხარშილაძე სოფ. კორბოულში მტხოვრები. (შორაპნის მაზრა) მსახურებდა მე-8 რკინის გზის დაცვის 22 როტაში. მონაწილეობას დებულობდა ავსტრიელებთან ბრძოლის დროს. შემდეგ კი შეგზავნილ ოთ დაიკარგა. თუ ვინმე იმის შესახებ რამე იცოდეთ. აცნობეთ შემდეგი ადრესით. ჭიათურის პირველდაწყებით უმაღლეს სასწავლებელში, ამბროსი თუთაბერიძეს.

✦ **კ. ფოცხვერაშვილის მომავალ კონცერტის გამო.** ექვს სექტემბერს თავადი კიტა აბაშიძე და კომპაზიტორი კ. ფაცხარაშვილი იმერეთის ეპისკოპოზს ყოვლად სამღვდელო გიორგისთან იყვნენ, ქუთაისში განზრახულ სასულიერო კონცერტის თაობაზედ. კ. ფოცხვერაშვილს განზრახვა აქვს ქუთაისში სასულიერო კონცერტი გამართოს, მზგავსათ თფილისში გამართულ კონცერტისა, რომელშიაც საქართველოს ეზარხოსის პიტირიმის ნებართვით თბილისის სასულიერო სემინარიის და ეპარქიალურ სასწავლების მოწაფეებმაც მიიღეს მონაწილეობა. ყოვლად სამღვდელო გიორგი დიდის ხალისით შეხვდა ქუთაისში სასულიერო კონცერტის გამართვას და ნება დართო ქუთაისის ქალთა ეპარქიალურ და სასულიერო სასწავლებელთა ხოროებმაც მიიღონ მონაწილეობა განზრახულ კონცერტში. კონცერტი გაიმართება ხოვლე ხანში და იმავე პროგრამით, როგორც პრეტროგრადში და თბილისში.

ქუთაისში სურათების გამოფენის გამო.

სურათების გამოფენა საერთოდ კავკასიის ქალაქებში მეტად იშვიათი მოვლენაა და ქუთაისში ხომ ჯერ სულაც არა ყოფილა. მოკლედ ვიტყვი აქ მხატვრობაზე, რომელიც სხვა ხელოვნებათა შორის ისევ საჭიროა როგორც სცენა, მუსიკა და პოეზია. მხატვრული სურათი იგივეა რაც გამოხატულება სცენაზე გამოხატულება მუსიკალური და პოეზიური, მხოლოდ ეს გამოხატულებანი სხვა და სხვა ფორმებში არიან ჩამოყალიბებულნი. მხატვრობას ისეთივე ზედ გავლენა აქვს ადამიანის სულზე, როგორიც სცენას, მუსიკას და პოეზიას, ერთი სიტყვით ადამიანის სულის გასამშვენებლად გასამხნევებლად და ზე ასამაღლებლად მხატვრობასაც თანასწორი წილი უდევს სხვა ხელოვნებათა შორის; ამიტომ სურათების გამოფენების მართვას და მხატვრობის შესწავლა გაცნობას იმდენსავე ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ, რამდენსაც სცენისა პოეზიისა და მუსიკისას. ამის მიხედვით უსაფუძვლო და დროს შეუფერებელი არ იყო მოლაპარაკება, რომელიც სწარმოებდა წარსულ გამოზაფხულზე ქ. ქუთაისში კავკასიელ მხატვართა სურათების გამოფენის მოწყობის შესახებ. ამ მოლაპარაკებაში გამოთქმული იყო ზემოხსენებული მნიშვნელობა სურათების, გამოფენისა ქუთაისში. აწონილ დაწონილი იყო გამოფენის მოსაწყობი ყველა მხარეები და რადგან დამაბრკოლებელი მიზეზი არა უჩნდა რა საქმეს, გადაწყვეტილი იყო გამოფენის ენკენისთვეში გახსნა.

ამ მიზნით, დავალებულიც კი მქონდა ქუთაისის ეტნოგრაფიულ საზოგადოებისაგან, თბილისში წასვლა და იქაურ მხატვრებთან მოლაპარაკება. ეს დავალება მე შევასრულე და ბევრმა თბილისელმა მხატვარმა აღმითქვა თავის სურათების გამოგზავნა ქუთაისში. სამწუხაროთ, სხვა და სხვა მიზეზების გამო, ეს გამოფენა ვერ ხერხდება. ჩემს ზნეობრივ მოვალეობათ ვსთვლი, დიდი მადლობა მოვახსენო ყველა იმ მხატვართ, რომელთაც კი ამითქვეს მონაწილეობა გამოფენაში.

მხატვარი გრიგოლ მესხი.

მცირე შენიშვნა.

წელს არა ერთი და ორი დაისტამბა სხვადასხვა პირებისა ქართულ გაზეთებში შესახებ ახალი ცირკულიარისა, რომლის ძალით კერძო პირთაგან და საზოგადოებისაგან გახსნილ დაბალ და საშუალო სასწავლებელს ნება ეძლევათ, გარდა სამიოდე საგნისა, ყველა საგნები ას-

წავლონ ბავშვებს სამშობლო ენაზე, ამ ახალ ცირკულიარს სიხარულით მიეგება ქართველი საზოგადოება და გამოითქვა სხვადასხვა აზრი შესახებ იმისა, თუ როგორ ისარგებლონ ამ უფლებით და როგორ განახორციელონ ეს დიდად საჭირო და სასარგებლო საქმე. სხვათა შორის აღიძრა საკითხი სახელმძღვანელო წიგნების შესახებ. ზოგ პატივცემულ და შეგნებულ პირებმა კიდევაც აღიარეს, რომ ისინი შეუდგნენ მუშაობას და ხელი მიყვეს სახელმძღვანელო წიგნების შედგენას. ზოგმა მიმართა სამღვდელოებას, „რომ ჩვენი მამებიც სხვას არ ჩამოჩრჩებიან-ო და სალმრთო რაზულშიც ეცდებიან შესაფერ პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შემუშავებასო“. სამშობლო № 96) ვფიქრობ, ძლიერ სასიამოვნოა ყოველ ქართველთათვის ზემო აღნიშნულ პირთა ასეთი მუშაობა და მოწოდებაც. მასთან ერთად სასურველია, რომ იმ პირებმა, რომელნიც იკისრებენ სახელმძღვანელო წიგნების შედგენას, ყურადღება მიაქციონ და ისარგებლონ ძველი ქართული სახელმძღვანელო წიგნებით. რავდენადაც ვიცი, ქართულ ენაზე ჩვენ ყვქონდა სახელმძღვანელო წიგნები თითქმის ყველა საგნების სასწავლებლად. ამ ძველ სახელმძღვანელო წიგნებს—ზოგს მოულწევია ჩვენ დრომდი ზოგს კი ვერა. მაგრამ ის ძველი სახელმძღვანელო წიგნებიც, რომელთაც მოულწევია ჩვენ დრომდი, საჭიროებენ გადაკეთებას, ახალ ენაზე შეცვლას, რომ ბავშთათვის გასაგები იყოს ის სწავლა-მეცნიერება, რომელსაც შეიცავს ესა თუ ის წიგნი, ანუ რომელიც გარდამოცემულია ამა თუ იმ წიგნში. მაგრამ ამის შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებ; რადგანც იმ პირთ (სპეციალისტებს), რომელნიც კისრულობენ, ანუ იკისრებენ სხვადასხვა საგნების სახელმძღვანელო წიგნების შედგენას, უეჭველია, თვით ეცოდინებათ თავიანთი სპეციალური საქმე. მე მხოლოდ მსურს მკითხველი საზოგადოების ყურადღება მივაქციო ზემო აღნიშნული მოწოდების გამო სამღვდელოებისადმი შემდგომს: მე მაქვს შედგენილი და გამოცემული ქართულ ენაზე სამი სახელმძღვანელო: 1, პირველ დაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე, 2, ძველი აღთქმის საღვთო ისტორია და 3, ახალი აღთქმის საღვთო ისტორია. პირველი ამათგანი შევადგინე მაშინ, როცა სასულიერო სასწავლებლის ყველა კლასში ვასწავლიდი საღვთო სჯულს ექვსი წლის განძვლობაში. იმ დროს ასეთი სახელმძღვანელო თითქმის სრულიად არ იყო და ბავშებს ძლიერ უძნელდებოდა სწავლა უწიგნოდ. ჯერ უნდა ქართულად დამესწავლებინა, მერე რუსულ-სლავიანურად. ეს გარემოება ძლიერ თავსაცემი და სწავლის შემაფერხებელი იყო და მაშინ განვიზრახე შედგენა ქართულ ენაზე სახელმძღვანელო წიგნისა. იმ წიგნისა მასალას ვმუშაობდი რაოდენიმე წელიწადი და გამოცემა კი მომხდა იმ დროს, როცა უკვე მღვდლად ვიყავ ნაკურთხი. მღვდლობის დროს საღვთო სჯულს ვასწავლიდი სამრევლო შკოლებში და თანდათან ვამუშავებდი ჩემ მიერ შედგენილ-კამოცემულ ამ პირველ სახელმძღვანელოს. ახლა ეს სახელმძღვანელო იხმარება თითქმის ყველა სამრევლო და სამინისტრო სკოლებში. მეორე სახელმძღვანელო—ძველი აღთქმის საღვთო ისტორია და მესამე—ახალი აღთქმის საღვთო ისტორია შევადგინე და გამოვეცი ექვსიოდე წლის წინეთ. ეს ორი წიგნი შედგენილია სასულიერო სასწავლებლების, გიმნაზიის რეალურ სასწავლებლების პროგრამაზე. ორივე ამ წიგნების მასალას ვამუშავებდი. შედგენის დროს ვცდილობდი, რომ დოღმატიური და ფაქტიური შეცდომეები არ მომსვლოდა, ენა ბავშთათვის გასაგები ყოფილიყო, გრამატიკული და ლოღიკური შეცდომები არ შემპაროდა წიგნში და სხ.

გამოცემის შემდეგ ორივე წიგნი გავგზავნე უწმ. სინოდში, რომელსაც ვსთხოვე განხილვა და, თუ შესაძლოდ დაინახავდა, მეღო სასწავლო წიგნები (учебниками) ვაჟა სასულიერო და ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლებში რუსულ სასწავლო წიგნთან გასწვრივ (паралельно). რადგანც ხსენებულ სასწავლებლებში მთაროების განკარგულებით რუსულად სწარმოებს საღვთო სჯულის სწავლება უწმ. სინოდმა ჩემი თხოვნა თანხმად ჩემი სურვილისა არ დაკმაყოფილა ე. ი. სასწავლო წიგნები არ მიიღო. მაგრამ მომწერა, რომ ეს წიგნები დაშვებულ არიან (допущены) აღნიშნულ სასწავლებლების წიგნთ საცავში. ამითი არ დავკმაყოფილდი და წასრულ წელში აწ განსვენებულ ექსარხოსის ალექსის მივმართე იმ გვარივე თხოვნით და წიგნებიც წარუდგინე, რადგანც საექსარხოსოში ეგზარხოს, ჩემი შეხედულობით, შეეძლო რუსულ სასწავლო წიგნებთან ერთად მიეღო ქართულიც. ეგზარხმა ალექსიმ მიიღო ეს ჩემი თხოვნა და წიგნები განსახილველად გადაეცა თბილისის სასულიერო სასწავლებლის სამართველოს. სამართველოს კომისია დაენიშნა ბ. შიო შიუკოვისა და მღ. მ. არჩილ გორგაძისაგან და მათთვის მიენდო განსახილველად ეს წიგნები. მათ განუხილავთ და მოეწონებიათ და თავიანთი „რეცენზია“ დაწერილი რუსულად ერთ თაბახ ქაღალდზე დაებრუნებიათ სასწავლებლის სამართველოსთვის. ამ უკანასკნელს ექსარხის კანცელარიაში გაეგზავნა. ამ დროს ექსარხოსი ალექსი გარდაიცვალა და ხის მაგიერ დროებით დაინიშნა ყ-დ სამღვდელო პიმენი. კანცელარიამ აღნიშნული "რეცენზია" მე გადმომცა და წარუდგინე ეპ. პიმენს, რომელსაც ვსთხოვე „რეცენზიის“ დამტკიცება. მან მითხრა: „მე დროებით მმართველი ვარო და უმჯობესია სინოდთან არსებულ სასწავლო (учебный) კომიტეტში წარვადგინო „რეცენზია და წიგნებიცო“ მეც დავეთანხმე, წიგნები წარდგენილია, მაგრამ პასუხი ჯერ არ მიმიღია, მაგრამ ზემო ნათქვამიდან სჩანს, რომ წიგნები დაწუნებულნი არ არიან და, შეიძლება ვსთქვათ, მოწონებულნიც არიან. რადგანაც ზემო აღნიშნულ კომისიამაც მოიწონა და უწმ. სინოდმაც სასულიერო სასწავლებლების წიგნთ საცავებში მიიღო. ამის გამო, ჩემი აზრით, კერძო სასწავლებლებსაც შეუძლიათ მიიღონ წასწავლო წიგნებად. ხოლო თუ ამას არ დაჯერდებიან კერძო სასწავლებლები, მაშინ უმჯობესი იქმნება თბილისის და ქუთაისის, ქართულ გიმნაზიებმა და „განათლების“ საზოგადოებამ, რომელიც რავდენადაც ვიცი, აპირებს საშვალო სასწავლებლის გახსნას, ამოირჩიონ კომისია რაოდენიმე პირისაგან და იმ კომისიას მიანდონ განხილვა, როგორც ჩემი წიგნებისა, ეგრეთვე ქართულ ენაზე არსებულ იმ გვარივე წიგნებისა. კომისიამ განიხილოს ეს წიგნები, შეადაროს ერთი მეორეს, დასდოს პირუთნეველი მჯავრი და, რომელიც დაინახოს საუმჯობესოთ, ის შეიღოს. ხოლო თუ ახლა შეუდგა ვინმე ამ გვარი წიგნების შედგენას, ის უსათუოდ სიჩქარით იწყებს მუშაობას და, შეიძლება, ზოგი ადგილები ჩემი წიგნებიდან ამოკლიჯოს (რის ნებას არვის ვაძლევ), ზოგი სხვისი წიგნებიდან და არ ივარგებს. ჩემი წიგნების განმხილველ კომისიას (თუ იქმნება კომისია დანიშნული) ვსთხოვ, თუ რამე ნაკლულევანება აღმოაჩინოს წიგნებში, (და აღმოაჩენს, უეჭველია, ამიტომ, რომ უნაკლულო ქვეყანაზე არა არის რა), მიჩვენოს ეს ნაკლულევანებანი და შემდგომ გამოცემაში ვეცდები, რომ ნაჩვენები ნაკლულევანება შევასწორო.

შუამთის მონასტრის წინამძღვარი არხიმანდრიტი ნესტორ (ეუბანეიშვილი).

დაბა-სოფელი.

სოფ. ფარცხანაყანება. (ქ. მაზრა). სოფ. ფარცხანაყანებში, რკინის გზის მახლობლად წმიდა გიორგის ეკკლესიის გალავანში, არსებობს ორკლასიანი სამრევლო სასწავლებელი, რომელშიაც სწავლობს ასათი მოწაფე ორივე სქესისა; სწავლის საქმე ამ სასწავლებელში კარგათ არის დაყენებული; მასწავლებლები ერთგულათ ეკიდებიან თავის საქმეს და თავის უანგარო შრომით მადლობა და თანაგრძნობა დაიმსახუროს, როგორც სათანადო მთავრობის მხრით, ისე მშობლებისა და ხალხის მხრითაც.

რაც შეეხება სასწავლებლის შენობას, დღემდი ეს შენობა უნუგეშო მდგომარეობაში იყო დაუხურავობის გამო. დღეს კი, ამავე სასწავლებლის მართველის დეკანოზ გიორგი ფხაკაძის შთაგონებითა და მეთაურობით წმინდა გიორგის მრევლისაგან არჩეულ იქნა სამზრუნველო კომისია ოთხი კაცისაგან, რომელსაც დაავალეს გადაეხურაო სასწავლებელი ზემოხსენებული ეკკლესიის შემოსავლისაგან. კომისიის წევრები, დარისპან კუჭუხიძის მეთაურობით, მაშინვე შეუდგენ საქმეს და მართლაც სასურველათ დააგვირგვინეს. ახლა აპირებენ კედლების შეღებას გარედან და შპალიერის გაკვრას შიგნით; ხოლო, როცა ცხოვრების პირობები ხელს შეუწყობს, ხალხი მზათაა სასწავლებელი და შენობა გააფართოონ.

დიდი მადლობის ღირსია დეკ. გიორგი ფხაკაძე, რომლის მეოხებითაც ეს სასწავლებელი გადახურეს და აგრეთვე კომისის წევრები და განსაკუთრებით კი დარისპან კუჭუხიძე, რომელიც ენერგიულათ ეკიდება ამ სასწავლებლის გაუმჯობესებას.

ვუსურვებთ მათ, რომ თავისი აზრი ამ სკოლის შესახებ სისრულეში მოეყვანოსთ და არ მოეკლოსთ თავისი ზრუნვა ზემოხსენებული სასწავლებლისათვის.

ეკაშვილი.

———

საჩხერე. 24 აგვისტოს ადგილობრივ სამინისტრო სკოლის დარბაზში მოხდა ადგილობრივი წიგნთ-საცავ-სამკითხველოს კრება.

კრება გახსნა მღ. აბიათარ იაკობაშვილის თავჯდომარეობით. ბ-ნმა თავჯდომარემ პირველათ მიმართა დამსწრე საზოგადოებას, ფეხზე ადგომით პატივი ეცათ განსვენებულ ჩვენი ძვირფასი მგოსნების აკაკისა და ვაჟა-ფშაველას ხსოვნისათვის, რაც კრებამ შეასრულა.

კრებამ განიხილა შემდეგი საკითხები: სარევიზიო კომისიის მოხსენება, იმ საღამოს ანგარიშების განხილვა, რომელიც გამართა თავ. გ. დ. წერეთელმა 1914 წელს 31 მაისს. და ახალი გამგეობის არჩევა. სარევიზიო კომისიის წევრმა გ. გაფრინდაშვილმა მოახსენა დამსწრეთ, თუ რამდენი შემოსავალი და გასავალი ქონდა სამკითხველოს მთელი წლის განმავლობაში. როგორც მის მოხსენებიდან გავიგეთ, სამკითხველოს, საწევრო ფულიდან, წარმოდგენიდან და სხვა და სხვა შემოსავლიდან შემოსულია 268 მან. და 86 კ. გასავალი კი 243 მან. და 5 კ. სამკითხველოს სულ ყოლია 39 წევრი—სამკითხველოს ქონია გამოწერილი სხვა და სხვა ქართული ჟურნალ-გაზეთები, აგრეთვე რუსული, ებრაელური და სომხურიც. ყოლია სულ 7,000 მკითხველი. ძირითადი თანხა სამკითხველოს ხელუხლებელი აქვს.

საღამოს ანგარიში, რომელიც უნდა განეხილათ ამ კრებაზედ, განხილულ ვერ იქმნა, რადგანაც ის პირნი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ანგარიშის შედგენა, კრებას არ დაესწრენ. ამის გამო ბ-ნ ნ. ნ. ლომა შემდეგ ... დეკისათვის ამოირჩიეს ახალი გამგეობა. ძველ წევრებიდან დარჩა ღ. ს. მაჭარაშვილი, დანარჩენების ნაცვლათ ამოირჩიეს მასწ. კინწურაშვილი, მასწ. ს. კაკაჩეიშვილი და მასწ. დ. ლეკვინაძე. სარევიზიო კომისიაში დარჩა ისევ გ. გაფრინდაშვილი, ამოირჩიეს ს. ხოჟაშვილი და ვ. კვლიშვილი. მზრუნველებათ ამოირჩიეს მასწ. მარო ჯანელიძისა, მასწ. კატო იოსელიანისა მასწ. ვერა აბრამიშვილი და მასწ. ელპიტა იაკობაშვილი. ბოლოს იქ დამსწრე საზოგადოებამ მადლობა გამოუცხადა ძველ გამგეობას ენერგიულ შრომისათვის.

იმედია, ახალი გამგეობა ენერგიულათ იმუშავებს სამკითხველოსათვის, მოუმატებს ჟურნალ-გაზეთებს და აგრეთვე იზრუნებს სამკითხველოს შესაფერ შენობის ასაგებათ.

შალიკო ხვადაბუნელი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით უდრმესი მადლობა გამოუცხადო ყველა იმ პირს, რომელთაც კეთილ ინებეს და დახმარება აღმოუჩინეს, სოფიჩხიის, დავ. კედიაშვილის სახელობის, უფასო წიგნსაცავ სამკითხველოს. ფულით, წიგნებით, ან რაიმე ნივთეულობით*).

სამზ. კომისიის თავჯდ. **აკაკი ხიშნიანიძე.**

*) შემომწირველთა სიას უადგილობის გამო ვერ ვბეჭდავთ. **რედ.**

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე.**

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელეგისა და საგალანტერიო საქონლისა.

როგლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.

პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

თვ.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი

ქართული და რუსული სახელმძღვანელო **წიგნები,**

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ხელიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

სწორ-ფბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.